

## განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია მოვალეთა რეესტრის ასამოქმედებლად აუცილებელი პროცედურების დაზუსტება და დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდგომ სრულყოფას.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს მოვალეთა რეესტრის ასამოქმედებლად აუცილებელი პროცედურების დაზუსტებას და დახვეწას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდგომ სრულყოფას.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს:

კანონპროექტით ზუსტდება, რომ მოვალეთა რეესტრი არის მონაცემთა სისტემატიზებული ბაზა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შესახებ, რომელთა მიმართ აღსრულება დაიწყო 2010 წლის 1 იანვრიდან.

ამასთან აღსრულების პროცედურების უფრო ეფექტურად და ოპერატიულად განხორციელების მიზნით, განისაზღვრა, რომ საბანკო დაწესებულებამ მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ საბანკო ანგარიშის გახსნისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სააღსრულებო ბიუროს, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება კრედიტორთა უფლებების მეტი გარანტიების მექანიზმების შექმნას და უზრუნველყოფს ქვეყანაში სასამართლო გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტურ აღსრულებას.

გარდა ამისა, კანონპროექტით ხდება ტერმინოლოგიური დაზუსტებები.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

#### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გაგენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გაგენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და აღსრულების ეროვნული ბიურო.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*  
ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – პაველე კუბლაშვილი, ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.